



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები,  
მაგისტრატურა

სსიპ -სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო  
აკადემია

შეფასების თარიღები: 11-12 ნოემბერი 2021 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10 დეკემბერი 2021 წ.

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245427337
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ინჟინერიის მაგისტრი საზღვაო ინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0716 ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი № 42, 28.03.2018

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი სანაძე, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა მოისწრაფიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო გორგოშაძე, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა აბულაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“ წარმოადგენს ბათუმის სახემწიფო საზღვაო აკადემიის სამაგისტრო პროგრამას, რომლის საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „ინჟინერიის მაგისტრი საზღვაო ინჟინერიაში“. სწავლების ხანგრძლივობა 2 წელია.

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონის – „უმაღლესი განათლების შესახებ“ მოთხოვნებისა და საქართველოს კანონის – „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. იგი შესაბამისობაშია „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ კანონთან, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციიდან (STCW).

პროგრამის აქტუალობა ექვგარეშეა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებიდან და მსოფლიო ბაზარზე საზღვაო ინჟინერიის კვალიფიცირებული სპეციალისტების საჭიროებიდან გამომდინარე.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ისეთი სასწავლო-კვლევითი კომპონენტებით, რომლებიც საშუალებას აძლევს პროგრამაში ჩართულ სტუდენტს მიიღოს ღრმა და სისტემური განათლება გემების როგორც ენერგეტიკულ, ისე ელექტრულ და ელექტროენერგეტიკულ სისტემებში და დანადგარებში. განუვითაროს მას სამეცნიერო - კვლევითი და ეფექტური სწავლა/სწავლების სტრატეგიების კონსტრუირებისთვის შესატყვისი უნარები. უნივერსიტეტს გაჩნია შესაბამისი სწავლების რესურსები.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სამაგისტრო პროგრამის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 11-12 ნოემბერს. მანამდე 10 ნოემბერს ჩატარდა წინასააკრედიტაციო შეხვედრა, სადაც ჯგუფის

თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული სტანდარტები/დავალბებები. შეხვედრაზე გაზიარებულ იქნა მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ წინასწარი შედეგები. განხილული და შეჯერებული იქნა კონკრეტული ბუნდოვანი და დასაზუსტებელი საკითხები. განსაზღვრულ იქნა დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტების სია.

აკრედიტაციის პროცედურა ჩატარდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით და ექსპერტთა სრული შემადგენლობით ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე (11 ნოემბერს) გავლილ იქნა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის ძირითადი საკითხები. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს. ვიზიტის განმავლობაში შედგა შეხვედრები: თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ხარის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. მეორე ეტაპზე (12 ნოემბერს) აკრედიტაციის ჯგუფის წევრის მიერ ადგილზე ვიზიტით და დანარჩენი წევრების დისტანციური ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მათ შორის ბიბლიოთეკა, სასწავლო სახელოსნოები, ლაბორატორიები.

ვიზიტ ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

საკრედიტაციო პროცედურა წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

#### ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- სტანდარტი 1- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად მთლიანი სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. სტანდარტის 2.6 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი ყველა კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შეფასდა როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან მისი ყველა კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან მისი ყველა კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან მისი ყველა კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს ერთჯერადად და მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტთან.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია მომავალში პროგრამის სახელწოდება შეიცვალოს უფრო მოკლე, ლაკონური და დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაში მიღებული დასახელებით „საზღვაო ინჟინერია“.
- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა სამაგისტრო საფეხურისაა და კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს კვლევითი უნარები, მისი მაღალ დონეზე ფლობისთვის სასურველია დაწესებულებამ პროგრამის ფარგლებში გაამრავალფეროვნოს არჩევითი სასწავლო კურსები დარგის განვითარებისთვის საჭირო მომიჯნავე დარგებიდან ცოდნის მიღების თავლსაზრისით;
- სასურველია გასწორდეს პროგრამის აღწერაში სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა და ნაცვლად „პროგრამით გათვალისწინებული 90 კრედიტისა“ მიეთითოს ამავე პროგრამით წარმოდგენილ დაშვების წინაპირობების ცხრილში მოტანილი 6 სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი 30 კრედიტი;
- სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხი პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში.
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასურველია იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაოები, გაეზარდოს საკონტაქტო საათები.
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იღებდეს მონაწილეობას სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში.
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს გაეწიოთ დამატებით კონსულტაცია, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას და მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო ბაზების გამოყენებას.
- დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში გააძლიეროს ძალისხმევა პერსონალის ინფორმირების თვალსაზრისით, რათა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/მოდიფიცირება განხორციელდეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.
- საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით სასურველია შეიქმნას დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მისაღები გარე კოლეგიალური შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმა.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონთან და „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან (STCW).

კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ინჟინერიის მაგისტრს საზღვაო ინჟინერიაში კომპეტენციის სერტიფიკატის (CoC-ის) მოპოვების საფუძველზე შეეძლება გემის მექანიკოსისა და გემის ელექტრომექანიკოსის პოზიციების ინტეგრირება, რაც კურსდამთავრებულის კარიერული ზრდის წინაპირობას წარმოადგენს. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ისეთი კომპონენტებით (სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი), რომლებიც საშუალებას აძლევს პროგრამაში ჩართულ სტუდენტს მიიღოს ღრმა და სისტემური განათლება გემების როგორც ენერგეტიკულ, ისე ელექტრულ და ელექტროენერგეტიკულ სისტემებში და დანადგარებში. განუვითაროს მას სამეცნიერო - კვლევითი და ეფექტური სწავლა/სწავლების სტრატეგიების კონსტრუირებისთვის შესატყვისი უნარები.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებლიანი ლიდერები, რომელთაც ექნებათ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, პროფესიული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი კონკურენტუნარიანობა და კარიერული წარმატება შრომის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. საზღვაო აკადემიის პოლიტიკისა და სტრატეგიის შესაბამისად, მიზნად ისახავს, ითანამშრომლოს და ჩამოაყალიბოს პარტნიორული ურთიერთობები უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან.

პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

პროგრამის მიზნების მიღწევადობას უზრუნველყოფს კვალიფიციური, მაღალპროფესიონალი და გამოცდილი აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესებისათვის მუდმივად ხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება.

პროგრამის შინაარსი საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამა გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

რადგან აკადემიას გააჩნია საინჟინრო სამაგისტრო პროგრამების ინტეგრირების მისწრაფება, მიზანშეწონილია პერსპექტივაში პროგრამის სახელწოდება შეიცვალოს უფრო მოკლე და მსოფლიოში მიღებული დასახელებით „საზღვაო ინჟინერია“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საზღვაო აკადემიის ვებგვერდი: <https://bsma.edu.ge>;
- საზღვაო აკადემიის მისია;
- საინჟინრო ფაკულტეტის მისია;
- განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018- 2024 წწ;
- საგანმანათლებლო პროგრამა - გეგმის ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- კვლევითი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2020-2024 წწ);
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია მომავალში პროგრამის სახელწოდება შეიცვალოს უფრო მოკლე, ლაკონური და დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაში მიღებული დასახელებით „საზღვაო ინჟინერია“.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან



ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა - „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“ გადის 10 სწავლის შედეგებზე. მასში გათვალისწინებულია საზღვაო აკადემიის მისია.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი კვალიფიკაციის დონის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები გადმოსცემს იმ ცოდნა და უნარებს რაც მნიშვნელოვანია საზღვაო ინჟინერიის დარგისთვის.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

პროგრამის სწავლის შედეგების თავისებურებებია: 1. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უმაღლესი სწავლის პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხით ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, დადგენილი დამატებითი პირობების დაკმაყოფილებით, გასცემს ელექტროტექნიკოს ოფიცრის კომპეტენციის სერტიფიკატს (COC) და შეუძლია დასაქმდეს საოკეანო სავაჭრო გემზე ელექტრომექანიკოს ოფიცრის პოზიციაზე. 2. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უმაღლესი სწავლის პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხით ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ელექტროინჟინერიაში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, დადგენილი დამატებითი პირობების დაკმაყოფილებით, გასცემს გემის მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატს (COC) და შეუძლია დასაქმდეს საოკეანო სავაჭრო გემზე გემის მექანიკოსის პოზიციაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროს მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ისეთი მეთოდების მეშვეობით, როგორცაა: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და დამსაქმებელთა გამოკითხვებით/ინტერვიუებით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განხილვის დამადასტურებელი მასალები -

<p>ოქმები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე აპლიკანტები ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში და ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ელექტროინჟინერიაში, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ: საერთო სამაგისტრო გამოცდებს; საზღვაო აკადემიის მიერ დადგენილ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს; აპლიკანტი ვალდებულია დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონის სერტიფიკატით ან ჩააბაროს საზღვაო აკადემიის მიერ ორგანიზებული შესაბამისი ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტირება. აღნიშნულ პროგრამაზე შიდა საუნივერსიტეტო სასპეციალიზაციო გამოცდა ტარდება „საზღვაო ინჟინერიაში“. საგამოცდო საკითხები განთავსებულია ვებგვერდზე. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩატარების წესი აღწერილია ნორმატიულ დოკუმენტში „სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა“. შორეულ ნაოსნობაში მყოფი აპლიკანტისთვის დისტანციური გამოცდა ტარდება აპლიკანტის დასაბუთებული განცხადებისა და ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რექტორის ბრძანებით და ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებში გამოცდის ონლაინ რეჟიმში (პირდაპირი ეთერი) ჩატარებას. ინფორმაცია პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე. ყოველივე ზემოთაღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და მოქმედი პროცედურების სამართლიანობას, საჯაროობას, გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საზღვაო აკადემიის ვებ გვერდი: <a href="https://bsma.edu.ge/">https://bsma.edu.ge/</a></li> <li>○ „სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა“;</li> <li>○ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი“;</li> <li>○ ინტევიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე</li> </ul>

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“ შედგენილია საზღვაო აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების“ წესზე დაყრდნობით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას. იგი წარმოდგენილია 120 კრედიტის მოცულობით, რომელთაგანაც 30 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, ხოლო 90 კრედიტი სასწავლო კომპონენტს, რომელიც შედგება 85 კრედიტი სავალდებულო, ხოლო 5 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსებისგან, რომელიც წარმოდგენილია 2 სასწავლო კურსით. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა სამაგისტრო საფეხურისაა და კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს კვლევითი უნარები, მისი მაღალ დონეზე ფლობისთვის სასურველია დაწესებულებამ პროგრამის ფარგლებში გაამრავალფეროვნოს არჩევითი სასწავლო კურსები დარგის განვითარებისთვის საჭირო მომიჯნავე დარგებიდან ცოდნის მიღების თავლსაზრისით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების მეშვიდე საფეხურს, მისი სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან „ინჟინერიის მაგისტრი საზღვაო ინჟინერიაში“ და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება პირი, რომელსაც წინარე განათლება მიღებული აქვს საზღვაო ინჟინერიაში და საზღვაო ელექტროინჟინერიაში, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები ხსნიან 6 თვიანი სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტის გავლის აუცილებლობით, რომლის საშუალება წარმოდგენილ პროგრამაში არ</p>

ემლევა სტუდენტს.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ პროგრამაში არის ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, რაც საჭიროებს ჩასწორებას. კერძოდ, პროგრამის აღწერაში სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა პროგრამით გათვალისწინებული 90 კრედიტი, ხოლო ამავე პროგრამით წარმოდგენილ დაშვების წინაპირობების ცხრილში კი მხოლოდ 6 სასწავლო კურსი 30 კრედიტის მოცულობით.

წარმოდგენილი პროგრამა წარმოადგენს აკრედიტებული პროგრამის მოდიფიცირებულ და განვითარებულ ვარიანტს, რომელიც ეყრდნობა დარგის თანამედროვე მიღწევებს. მისი მოდიფიცირების პროცესში გარკვეული მოცულობით ჩართულები იყვნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, თუმცა, თავად დაწესებულების მოსაზრებითაც და ექსპერტთა შეხედულებითაც სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხი პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში.

პროგრამა განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“: <https://bsma.edu.ge/media/files/4e9dca58-7ba5-4015-a936-aad3bac3670f.pdf>;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“;
- ინტერვიუს შედეგები.

#### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა სამაგისტრო საფეხურისაა და კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს კვლევითი უნარები, მისი მაღალ დონეზე ფლობისთვის სასურველია დაწესებულებამ პროგრამის ფარგლებში გაამრავალფეროვნოს არჩევითი სასწავლო კურსები დარგის განვითარებისთვის საჭირო მომიჯნავე დარგებიდან ცოდნის მიღების თავლსაზრისით;
- სასურველია გასწორდეს პროგრამის აღწერაში სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა და ნაცვლად „პროგრამით გათვალისწინებული 90 კრედიტისა“ მიეთითოს ამავე პროგრამით წარმოდგენილ დაშვების წინაპირობების ცხრილში მოტანილი 6 სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი 30 კრედიტი;
- სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხი პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში.

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილია სწავლის შედეგები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია როგორც თავად ამ სასწავლო კურსებით წარმოდგენილ თემატიკებთან, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურთან.

თითოეული სასწავლო კურსი წარმოდგენილია 5-5 კრედიტით, თუმცა მათში მოცემულია განსხვავებული განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის, რომლითაც გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა და უმეტესწილად აღნიშნული განაწილება შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს, თუმცა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასურველია იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაოები, გაეზარდოს საკონტაქტო საათები. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილია სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, მოცულობა კრედიტებში, საკონტაქტო საათების რაოდენობა, კურსის სპეციფიკის შესაბამისი სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი და შეფასების სისტემა. ამ უკანასკნელით დგინდება, რომ დაწესებულება ახორციელებს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას.

თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია დაშვების წინაპირობები, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან და უზრუნველყოფს სასწავლო კურსის ათვისებას.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა

და დამხმარე ლიტერატურა, რომლებიც სრულად ფარავს სასწავლო კურსებში მითითებულ მასალას, შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ისინი დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და დარგის თანამედროვე/საერთაშორისო მოთხოვნებზე. პროგრამის განმახორციელებლებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლის შემუშავება დაეყრდნო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და მასში ჩამოყალიბდა კვლევის მსვლელობის აღმწერი, კვირებში გაწერილი შესასრულებელი ამოცანების ნუსხა, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის აღმწერი და შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, ნაშრომის შესრულებისას სავალდებულო წესების დაცვის ჩამონათვალი. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასურველია იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაოები, გაეზარდოს საკონტაქტო საათები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზღვაო აკადემიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევით პროექტებში. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ოლიმპიადებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში, სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. მათ აქვთ საშუალება ნამუშევრები წარმოადგინონ ორიგინალური პროექტების სახით და მოახდინონ მათი საჯარო დაცვა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით საზღვაო აკადემიაში შექმნილია საზღვაო კვლევების და ინოვაციების ცენტრი, რომლის ერთერთი მიზანია საზღვაო აკადემიის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უნარების განვითარება, სამეცნიერო-კვლევითი კულტურის ამაღლება, საზღვაო და მომიჯნავე სფეროში ახალი ტალანტების მოძიება და ინოვაციური პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა. საზღვაო აკადემიას სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარების მიზნით და სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებებისთვის გამოყოფილი აქვს ფინანსური რესურსი, რაც რეგულირდება სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა“ 2020-24 წლებისთვის, სადაც ჩამოყალიბებულია კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა, მიზნები, ამოცანები, რომლის მიღწევა საჭიროა საზღვაო აკადემიაში კვლევითი საქმიანობის წახალისების, ხელშეწყობისა და განვითარებისათვის უახლოესი 5 წლის პერსპექტივაში. მათ მიერ განსაზღვრულია კვლევითი პროექტების პრიორიტეტული მიმართულებები. საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის (IAMU) მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში PIMET (performance Indicator in Maritime Education and Training -საზღვაო განათლების და წვრთნის განხორციელების ინდიკატორი) ხორციელდება საზღვაო უნივერსიტეტების შეფასება შემდეგი მაჩვენებლებით: გლობალური ჩართულობა, კვლევა და სწავლების ხარისხი. საზღვაო აკადემია 2019 წლიდან ჩაერთო პროექტში და ორი წლის მაჩვენებლების შეფასებით აჩვენა გაუმჯობესების დინამიკა.

საზღვაო აკადემიაში შემუშავებულია „სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი“, რომლითაც რეგულირდება საზღვაო აკადემიაში სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზნით კონკურსის გამოცხადების, ნაშრომების წარდგენის, შეფასების, შერჩევისა და დაჯილდოების წესები. ასევე, შემუშავებულია „საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი“, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და მივლინების დაფინანსების და შედეგების შეფასების პროცედურებს და „გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესი“, რომელიც არეგულირებს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის წესსა და პროცედურებს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“ მოიცავს 5 კრედიტიან სასწავლო კურსს „კვლევის მეთოდები“, რომლის მიზანია სტუდენტს განუვითარებს მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კვლევების დაგეგმვა და ორგანიზება.

საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საზღვაო საკრუინგო კომპანიებთან, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებთან და სასწავლებლებთან.



### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი“:  
<https://bsma.edu.ge/media/files/6916ed83-ea72-436e-b60b-5f22a3c73b01.pdf>
- „სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი“ :  
<https://bsma.edu.ge/media/files/7b4efae3-5673-4b05-bb1e-dec6c52b9396.pdf>
- „სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურა“:  
<https://bsma.edu.ge/media/files/a923bb64-9a9f-4940-aaa9-3acfb48a9d91.pdf>
- „გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესი“ :  
<https://bsma.edu.ge/media/files/732ce87b-dd6a-49f0-be17-d8e947dafa05.pdf>
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები: <https://bsma.edu.ge/page/memorandumebi>
- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემები;
- ინტერვიუს შედეგები.

### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“ თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სწავლის შედეგებისა და სწავლების ფორმების მიხედვით შერჩეული სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდები და აქტივობები, ასევე სწავლება/სწავლის მეთოდების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გამიზნული მეთოდების კომბინაციაა მოცემული.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით სწავლების პროცესში ხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება და ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას, რაც ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. საზღვაო აკადემიის ადმინისტრაცია ზრუნავს აკადემიური პერსონალის განვითარებაზე სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიაში და ისინი ინდივიდუალურად, ან აკადემიის მხარდაჭერით რეგულარულად მონაწილეობენ მეთოდური უნარების განმავითარებელ ტრენინგებში.

საზღვაო აკადემიაში არსებობს საჭიროება და პრაქტიკა სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნას ინდივიდუალური გრაფიკი, რომლითაც უმეტესწილად სარგებლობენ შორეულ ნაოსნობაში მყოფი მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-გრაფიკის შემუშავების პირობები და მოთხოვნები აღწერილია საზღვაო აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესში“. საერთო ჯამში პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები“
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“: <https://bsma.edu.ge/media/files/4e9dca58-7ba5-4015-a936-aad3bac3670f.pdf>
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-გრაფიკი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასაკვალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა, რომ სტუდენტების შეფასება მეტწილად ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია.

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების 100 ქულიანი სისტემა. შეფასების პროცესი მრავალკომპონენტანია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა წილიც საბოლოო შეფასებაში შეადგენს 45/15/40%-ს.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხდება მიმდინარე შეფასება, რომელიც შეფასების თითოეულ კომპონენტში მიღწეულ შედეგს აფიქსირებს ელექტრონულ ჟურნალში. შუალედური შეფასება მოიცავს პედაგოგის რეიტინგულ შეფასებას და შუალედურ გამოცდას (15% ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდა შეადგენს 40 ქულას (40%).

პროგრამა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები მეტწილად იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს. მსგავსი უკუკავშირი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი. სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი არ ფასდება ერთჯერადად საჯაროდ დაცვის დროს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტთან.

სასწავლო პროცესის პროცედურის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-13 მუხლის მე-12 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მიხედვით: სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტის დაშვება განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებით, რომელიც შეადგენდეს 40 ქულას (ჯამური 100 ქულიდან). ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება წარმოადგენს მაგისტრანტის მიმდინარე აქტივობისა (15 ქულა) და შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის შეფასებათა (25 ქულა) ჯამს. აღნიშნული აგრეთვე დადასტურდა დისტანციური ვიზიტის შედეგად განხორციელებული ინტერვიუების პროცესში.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების არაერთჯერადი ხასიათი წინააღმდეგობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს ერთჯერადად და მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტთან.

ამასთან სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იღებდეს მონაწილეობას.

უსდ-ში პლაგიატზე შემოწმება სამაგისტრო ნაშრომების ხდება პროგრამა „Turnitin“-ის მეშვეობით.

„გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დადასტურდა პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდანაც.

უსდ-ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს შეფასების შედეგების ანალიზსა და მის გამოყენებას სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები
- გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის
- სასწავლო პროცესის პროცედურა. სამაგისტრო სწავლების საფეხური:  
<https://bsma.edu.ge/media/files/9c324ba5-c86c-48c6-878c-39fcff9dff1d.pdf>.
- პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი:  
<https://bsma.edu.ge/media/files/9dc9c913-33bb-4fac-bbed-c7ae76a9045e.pdf>
- პლაგიატის დაძლევისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრების პოლიტიკა: <https://bsma.edu.ge/media/files/3356ab92-4c96-48a1-ad52-1a21949cd1f8.pdf>
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- ვებ-გვერდი <https://bsma.edu.ge>

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს ერთჯერადად და მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტთან.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იღებდეს მონაწილეობას სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატურ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში უსდ) „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

სტუდენტებმა ინტერვიუების პროცესში დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარსს, შეფასების სისტემას. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საკონსულტაციო საათით.

მაგისტრანტი პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე სტუდენტს რეგისტრაციის გავლის დროს ბუკლეტის სახით გადაეცემა „საინფორმაციო გზამკვლევი“, რომელშიც მოცემულია ძირითადი ინფორმაცია აკადემიაში მოქმედი ქცევის, კონსულტაციის, მომსახურების, სერვისების, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების

შესახებ.

სტუდენტები მათი კარიერული განვითარების, სტუდენტური სერვისების, ვაკანსიებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას იღებენ, როგორც უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ასევე საგარეო ურთიერთობებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის მეშვეობით, <https://www.facebook.com/BSMA-Internationalization432649580855359>.

უსდ ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით კომუნიკაციაზე, კავშირების მოძიებაზე, დამყარებაზე და ინფორმაციის აკადემიაში გაზიარებაზე პასუხისმგებელია საგარეო ურთიერთობებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი

სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე აქვთ წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე.

უსდ-ში არსებული პროექტების და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტების და პერსონალის ინფორმირება ხორციელდება აკადემიის ვებ-გვერდის და სოციალური ქსელების მეშვეობით, აკადემიაში განთავსებული საინფორმაციო დაფების, სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის სამმართველოს და ფაკულტეტის ხელშეწყობით.

საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად გათვალისწინებულია სტუდენტების მიერ შუალედური ან დასკვნითი შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტთა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია განმავითარებელი უკუკავშირი. პროგრამის კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ იღებენ დეტალურ განმარტებებს როგორც აქტივობებზე აგრეთვე შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ.

სტუდენტს ელექტრონული სისტემის მეშვეობით წვდომა აქვს შეფასებულ საგამოცდო ნაშრომთან, რომლის საფუძველზე დებულობს გადაწყვეტილებას - გაასაჩივროს თუ არა შეფასება. საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა მაგისტრანტს აქვს უსდ-ში გამოუცხადებლად დისტანციურად ელექტრონული ფორმით.

სტუდენტებმა ინტერვიუს პროცესში ასევე აღნიშნეს, რომ შიდა საუნივერსიტეტო გამოკითხვებს პერიოდულად ატარებს უსდ და მსგავს აქტივობებში მათ არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად უსდ-ს ადმინისტრაციასთან განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე, ირკვევა, რომ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ტრენინგებში, პროექტებსა და კონფერენციებში.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სასწავლო პროცესის პროცედურა. სამაგისტრო სწავლების საფეხური: <https://bsma.edu.ge/media/files/9c324ba5-c86c-48c6-878c-39fcff9dff1d.pdf>.
- სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურა: <http://bsma.edu.ge/upload/Student%20Projects.pdf>
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;

<ul style="list-style-type: none"> <li>○ ვებ-გვერდი <a href="https://bsma.edu.ge">https://bsma.edu.ge</a></li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</b></p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ თითოეულ მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური, დარგის შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი. უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესი რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტით „სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა“.</p> <p>მაგისტრანტი ხელმძღვანელს ირჩევს მე-4 სემესტრის დაწყებამდე, რომელსაც ამტკიცებს საინჟინრო ფაკულტეტის საბჭო.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური პირი,</p>



რომელსაც აქვს დოქტორის ან ამასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს ამტკიცებს საინჟინრო ფაკულტეტის საბჭო. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც, დარგის სპეციალისტი ან/და მოწვეული მასწავლებელი.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იღებენ საჭირო მასალებსა და ინფორმაციებს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს ხელმძღვანელების მხრიდან მზაობა ნებისმიერ დროს გაუწიონ შესაბამისი დახმარება მათ.

ამასთან, აქტიურ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება გამოკითხვა იმის შესახებ თუ რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები გავლილი სასწავლო კურსით, სადაც შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი შეხედულებები ანონიმურად.

გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით ვგებულობთ, რომ უნივერსიტეტს შეძენილი აქვს პლაგიატის დეტექტორის პროგრამა „turnitin” რომლის გამოყენებაც შესაძლებელია საჭიროებისამებრ. უსდ-ში შემუშავებულია სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ მოწოდებული 5 სამაგისტრო ნაშრომი, რომელთა უმეტესობა თემატიკის და შესრულების მხრივ იყო საინტერესო და გამართული.

ნაშრომების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მიერ საკვლევი თემის გარშემო გამოყენებული ლიტერატურათა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ამასთან ზოგიერთი სამაგისტრო ნაშრომის ლიტერატურა და შესაბამისი მიმოხილვა უმეტესად მოიცავდა რუსულენოვან წყაროებს. სასურველია, რომ სტუდენტებმა გამოიყენონ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, რომლებთან წვდომაც უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო სივრცეში. შესაბამისად, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა) რათა მეტად მოხდეს სტუდენტთა კვლევითი უნარების ჩამოყალიბება. რაც თავისთავად გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მაგისტრანტს მოეთხოვება შესაბამისი ლიტერატურის შესწავლა, ექსპერიმენტის ან კვლევის ჩატარება და დასკვნების გაკეთება.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის პროცედურა. სამაგისტრო სწავლების საფეხური: <https://bsma.edu.ge/media/files/9c324ba5-c86c-48c6-878c-39fcff9dff1d.pdf>
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- „პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი“: <https://bsma.edu.ge/media/files/9dc9c913-33bb-4fac-bbed-c7ae76a9045e.pdf>
- „პლაგიატის დაძლევისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრების

პოლიტიკა“: <https://bsma.edu.ge/media/files/3356ab92-4c96-48a1-ad52-1a21949cd1f8.pdf>

- ვებ-გვერდი <https://bsma.edu.ge>

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს გაეწიოთ დამატებითი კონსულტაცია, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას და მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო ბაზების გამოყენებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას კადრების შერჩევის, შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით შემუშავებული აქვს საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი მარეგულირებელი წესები. აკადემიური პერსონალის შერჩევა და აყვანა ხორცილდება „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი“-ს მიხედვით, რომელიც ადგენს და საზღვრავს აკადემიური თანამდებობის დაკავების წინაპირობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კანდიდატის შესარჩევ კრიტერიუმებსა და კონკურსის ჩატარების პროცედურას. გამომდინარე იქედან, რომ გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების და დანადგარების სამაგისტრო პროგრამა მოითხოვს დარგში ჩართული პირების პრაქტიკულ ცოდნას, გამოცდილებასა და კომპეტენციას, დაწესებულებას პროგრამის განხორციელებაში ჩართული ჰყავს მეზღვაურები - გემის უფროსი მექანიკოსები, რომლებიც ზემოთ ხსენებული მარეგულირებელი წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების საფუძველზე შეიძლება არჩეულ იქნან პროფესიული ნიშნით, როგორც აკადემიური პერსონალი. დაწესებულებას პროფესიული ნიშნით აკადემიური პერსონალის არჩევის კონკრეტული კრიტერიუმები და მოთხოვნები განსაზღვრული აქვს მარეგულირებელ დოკუმენტში, რომლის შესაბამისად ასეთი წესით არჩეული აკადემიური პერსონალი შეიძლება იყოს A და B კატეგორიის აკადემიური პერსონალი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი წესი „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი და მეთოდოლოგია“- რომლის მიხედვით 1 აკადემიურ პერსონალზე უნდა იყოს 35 სტუდენტი, ამასთან მოწვეულ და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა უნდა იყოს 1:1. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელია 1 პროფესორის, 2 ასოცირებული პროფესორის არსებობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას გამოიყენება ისეთი ინდიკატორები, როგორცაა სტუდენტთა რაოდენობა, დაგეგმილი ბიუჯეტი, დაგეგმილი საკონტაქტო საათების რაოდენობა, თანაფარდობა მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის და სხვა. ზემოთხსენებული წესით დადგენილი მოთხოვნები შესაბამისობაშია პროგრამის

განხორციელების პროცესში ჩართულ აკადემიურ პერსონალთა რაოდენობასთან, რადგან აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 აკადემიური, აფილირებული პერსონა და 10 - მოწვეული პერსონალი. პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 10-ს, შესაბამისად აკადემიური და მოწვეული პერსონალი სავსებით საკმარისია პროგრამის უწყვეტად განხორციელებისათვის. წარმოდგენილი პირადი საქმეების შეფასებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების კვალიფიკაცია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ავალდებულებს აკადემიურ პერსონალს აწარმოოს სამეცნიერო საქმიანობა და მის შესახებ ანგარიში. ანგარიშისთვის შემუშავებულია სპეციალური ელექტრონული მოდული, სადაც ხდება ყველა სამეცნიერო საქმიანობის დაფიქსირება და დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვა. აღნიშნული ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის ხარისხს და შემდგომ ხარისხის სამსახურს შემდგომი ანალიზისთვის. წარმოდგენილი ანგარიშებისა და პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე დასტურდება აკადემიური პერსონალის აქტივობები სამეცნიერო საქმიანობისათვის, რაც ასახულია შესაბამის ანგარიშში. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხორციელდება „პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“-ს შესაბამისად, რომელიც ადგენს აუცილებელ კრიტერიუმებს სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად შერჩეულია 5 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან რამდენიმე არის პროფესიული ნიშნით არჩეული აკადემიური პირი. შესაბამისად, გააჩნიათ საჭირო, დარგისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია ნაშრომის შექმნასა, განვითარებასა და პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის. თითოეულ ხელმძღვანელს შეუძლია მხოლოდ 2 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, რაც შესაბამისობაშია სამუშაო დატვირთვისთან.

„აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად აკადემიური და მოწვეული პერსონალი თავიანთ საქმიანობას წარმართავენ წინასწარ შემუშავებული ინდივიდუალური დატვირთვის გრაფიკის მიხედვით, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს როგორც სააუდიტორო ასევე სხვა სამეცნიერო საქმიანობის ვალდებულებას. აკადემიური პერსონალის წლიური სააუდიტორო სავალდებულო უნდა შეადგენდეს 330 საათს, ხოლო სრულ საშტატო დატვირთვა არა ნაკლებ 1800 საათს. დაწესებულების მიერ სპეციალურად შემუშავებულ ელექტრონულ მოდულში აკადემიური პერსონალი სემესტრის დაწყებამდე 2 კვირით ადრე ახდენს თავისი დატვირთვის შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას, რაც თანხმდება პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის დეკანთან.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტთა კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის დენადობას აქვს დაბალი მაჩვენებელი, რაც არ უქმნის საფრთხეს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამას ჰყავს 2 ხელმძღვანელი, რომელთა პირადი საქმის შესწავლის საფუძველზე დგინდება რომ ამთ გააჩნიათ პროგრამის განხორციელებასა და განვითარებისათვის შესაბამისი კვალიფიკაცია. მათ აქვთ აკადემიური ხარისხი ინჟინერისა და ელექტროინჟინერიაში. ამასთან ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ასევე უმაღლესი საზღვაო განათლება და მეზღვაურად მუშაობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შეფასებასა და განვითარების პროცესებში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზით.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალით, რომლებიც მონაწილეობენ სასწავლო პროცესის განხორციელებაში, აქვთ სტუდენტებთან საჭირო კომუნიკაცია. საინჟინრო ფაკულტეტზე დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა არის 9. მათი საქმიანობის შეფასება ხდება სტუდენტთა მიერ უკუკავშირის საფუძველზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- 1.აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი;
- 2.აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი“;
3. აკადემიური წოდების მინიჭების წესი;
4. მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის და შეფასების წესი;
- 5.აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესი;
6. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა და პროცედურა;
7. აკადემიური პერსონალის წლიურ სამუშაო დატვირთვის ელექტრონული ფორმა
8. ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი წესი „პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“- რომელშიც განსაზღვრულია ყველა ფორმა, რითაც ფასდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა, დადგენილია შესაბამისი კრიტერიუმი/ ქულობრივი მაჩვენებლით, რომელიც საბოლოოდ ჯამდება და გამოდის საერთო ქულა. წესი განსაზღვრავს იმ მინიმალურ ქულას, რომელიც უნდა მოაგროვოს აკადემიურმა პერსონალმა წლის განმავლობაში თავისი საქმიანობის საფუძველზე. თვითშეფასების შევსება სავალდებულოა წლის ბოლოს. შედეგებს ანალიზებს ფაკულტეტის ხარისხი, რომელიც წარუდგენს დაწესებულების ხარისხის სამსახურს. ანალიზის შედეგები წარედგინება სენატს.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებისთვის დანერგილი აქვს ელექტრონული სისტემა აკადემიური პერსონალის თვითშეფასების განხორციელებისთვის, რაც მოქნილს და ეფექტურს ხდის შეფასების ანალიზს. თვითშეფასების ფორმა განთავსებულია სასწავლებლის აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ ელექტრონულ პორტალზე, სადაც აკადემიური პერსონალი ავსებს თავისი საქმიანობის შესახებ მონაცემებს. სისტემა შეყვანილი ინფორმაციის საფუძველზე ავტომატურად დაითვლის და გამოიყვანს შესაბამის ქულას.

თვითშეფასების გარდა დაწესებულების მიერ გამოიყენება აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტთა მიერ და ასევე სააუდიტორო საქმიანობის მონიტორინგ საფუძველზე.

დაწესებულება ხელს უწყობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის განვითარებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას. ატარებს ადგილობრივ სტუდენტურ და აკადემიურ კონფერენციებს, სადაც პერსონალს შეუძლია წარადგინოს თავისი ნაშრომი, დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის კვლევით პროექტებში ჩართვას, ახორციელებს სხვადასხვა საჭიროები ტრენინგების უზრუნველყოფას, პარტნიორი უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში თავისი აკადემიური პერსონალის მივლინებას გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტებიდან პერსონალის მოწვევას და ტრენინგების ჩატარებას. დაწესებულება არის სხვადასხვა საერთაშორისო საზღვაო ასოციაციების წევრი და აქტიურად მონაწილეობს ასოციაციების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი;
2. სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი;
3. გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესი;
4. კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2020-2024 წწ);
5. პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი;
6. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების წესი;

<p>7. ხელშეკრულებები და მემორანდუმები; 8. ინტერვიუს შედეგები.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>4.3 მატერიალური რესურსი</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>დაწესებულებას გააჩნია საკმაოდ მდიდარი საზღვაო ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა განთავსებულია ცალკე ორსართულიან შენობაში, მას გააჩნია სამკითხველო დარბაზი, წიგნსაცავი, კომპიუტერული სივრცე ინტეგრირებული ელექტრონული მატარებლების გაცნობისათვის. მოწყობილია ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს ინდივიდუალურ წვდომას საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ გამოცემული ელექტრონულ საცავზე <a href="http://www.vp.imo.org">www.vp.imo.org</a>, სადაც განთავსებულია განახლებული, უახლოესი ვერსიის საერთაშორისო საზღვაო მარეგულირებელი დოკუმენტები, კონვენციები, ტექნიკური დოკუმენტაცია, რეზოლუციები და სხვა.</p>

